

ნუგზარ ილოიძე

**გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები თუშეთის სოფელ ომალოდან**

(ეთნოლოგიური ხედვა)

თუშეთის მწყემსური კულტურის ისტორიული სათავეების შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა ომალოს (ქვემო ომალო) ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. აქ აღმოჩენილ მასალებზე ეთნოლოგიურ ჭრილში წარმოებული დაკვირვებით აღნიშნულ რეგიონში დასტურდება ძირითადი კულტურული რეალიების უწყვეტი ტრადიცია.

არქეოლოგიური მასალების აღმოჩენის ადგილის მიხედვით ომალოს არეალში იკვეთება სამი არქეოლოგიური ძეგლი, აღნიშნული ეპოქის დასახლების სამი კომპონენტი: I. ნამოსახლარი – ომალოს სამხრეთით, ე.წ. „ნამწვარი ციხის გორა“; II. სალოცავი – ომალოს სამხრეთით, „სამნათეო“ (სანელნდობო საკულტო ადგილი); III. სამაროვანი – ომალოს აღმოსავლეთით, დასახლებული უბანი (სამაროვანი შემოსავლურავს გზას და მიმდებარე საკარმიდამო ნაკვეთებს) (იხ. რუკა I).

არქეოლოგიური გათხრები ომალოში არ ჩატარებულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2012 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსური ექსპედიციის მიერ დაზვერვის მიზნით რამდენიმე სამარხის შესწავლის მცდელობას. ომალოში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების უმეტესობა შემთხვევითი ხასიათისაა. ნაწილი ნივთებისა აღმოჩენილია მიწის სამუშაოების დროს (ნამოსახლარი, სალოცავი), ნაწილი – ნიადაგის ჩამორეცხვის შედეგად (სამაროვანი). 1970-80-ან წლებში სოფელ შენაქოში, ნიშტაყოს გორაზე, გათხრებს აწარმოებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიცია (არქეოლ. რ. დოლაბერიძე). ექსპედიციამ გათხრები ჩაატარა კურუხის სამაროვანზეც, რომელიც, იქ მოპოვებული მასალების მიხედვით, ომალოს სამაროვანის თანადროული არქეოლოგიური ძეგლია.

შენაქოს არქეოლოგიური მასალები ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ომალოსი – ახმეტის მუნიციპალიტეტის და კესელოს მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში.

„ნამწვარი ციხის გორაზე“ ნაპოვნ ქვაბ-ქოთანზე გამოყვანილია ორი რელიეფური სიმბოლო-ნიშანი – ჰორიზონტალური ხაზიდან დაბლა დაშვებული ოთხი ხაზი და ჰორიზონტალური

ხაზიდან დაბლა დაშვებული ორი ხაზი (სურ. 1). პირველის ანალოგიური ნიშანი აღმოჩენილია სამაროვანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტზე (სურ. 2).

თუშეთის ტრადიციულ „სანელნდობო“ რიტუალებში მაგიური მოსაზრებით აცხობდნენ სანესო კვერებს, მათ შორის, ფურის და ცხვრის. ფურსა და ცხვარს გამოხატავდნენ მათი სანველი თითების – ოთხისა და ორის – რიცხობრივი სიმბოლოებით, რაც ანალოგიურია ქვაბ-ქოთანზე გამოსახული ნიშნების. ადგილობრივთა რწმენით აღნიშნული სიმბოლო-ნიშნები „ზე-ნველის ბარაქას“ უწყობდა ხელს.

შეიძლება ითქვას, რომ ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვაბ-ქოთანი რძის პროდუქტებისათვის განკუთვნილი ჭურჭელია და მასზე გამოსახული სიმბოლო-ნიშნები გვიანბრინჯაოს ხანაში მეცხვარეობა-მესაქონლეობის მეურნეობას და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს აფიქსირებს აღნიშნულ რეგიონში.

სამაროვანზე ჩამავალმა გზამ ხელი შეუწყო კულტურული ფენის გაშიშვლებას და ნამარხი ინვენტარის დღის სინათლეზე გამოტანას (სურ. 3). სამარხები ქვაყუთის ტიპისაა და აქვს დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულება. შეინიშნება კრემაციის – მიცვალებულთა გვამების დაწვის – კვალი. ნივთები განლაგებულია დამწვარ ფენაში.

სალოცავთან აღმოჩენილ ნივთებზე (ბრინჯაოს და რკინის სამაჯურები) და სამარხ ინვენტარზე (ბრინჯაოს სამაჯურები, დიადემები, ფარაკები, კერამიკული მძივები და ა. შ.) აღბეჭდილია ასტრალური შინაარსის გეომეტრიული სიმბოლო-ნიშნები, რომლებშიც დომინირებს მზის ემბლემატიკა. სამარხებში მოპოვებული იარაღი, მათ შორის, საომარი (შუბისპირები, მახვილები, ისრის წვერები), სამეურნეო (ცელის პირი) და მწყემსისა და მონადირის ბუნიკები – დამზადებულია რკინისაგან. სამარხებთან ნაპოვნია, ასევე, ადმიანის ფორმის ქვის რამდენიმე სვეტი (სურ. 4).

სამარხებთან ხშირად ჩნდება ვერძის ფიგურები, ცალკეული თუ შედგენილი სახით. ცალკეულ ფიგურებს ზურგზე აქვს ჩამოსაკიდი რგოლები, რაც მათ საკულტო-რიტუალურ დანიშნულებაზე მეტყველებს (სურ. 5). ნიადაგის დამუშავებისას ვერძის ფიგურებთან ერთად აღმოჩენილია მწყემსური მეურნეობის განუყოფელი წევრის – ძაღლის – ფიგურა, ფარის მცველის შემტევ პოზაში. სამაროვანის არეალში ერთ-ერთი სახლის ეზოში აღმოჩნდა ბრინჯაოს დაფანჯრული ბალთა, რომელსაც ერთ გვერდზე ვერძის, აქეთ-იქითა ორ გვერდზე კი ძაღლის თავების

გამოსახულებები მიუყვებოდა მწკრივად. მათ შორის გამოსახული იყო ცხენის ორი ფიგურა.<sup>1</sup>

სამარხებში წარმოდგენილია მტკვარ-არაქსული კულტურისათვის დამახასიათებელი ე.წ. „სათვალისებური სპირალის“ ანალოგიური ბრინჯაოს შეწყვილებული სპირალები. მკვლევართა აზრით „სათვალისებური სპირალით“ გამოხატულია ვერძის თავი და მზე<sup>2</sup> (სურ. 6).

ვერძის და მზის თემასთან დაკავშირებით სამარხებიდან საყურადღებოა ე.წ. ბრინჯაოს დაფები. დაფის ზედა ნაწილში გამოსახულია ორი მთა, ორი მზე და მთებს შორის მაღლა მიმართული ვერძის თავი. დაფის ქვედა ნაწილი განასახიერებს ქვესკნელის წყლებს და შესაბამისად წყლის/ზღვის გამომხატველი ზიგზაგისებური სიმბოლოებითაა მონიშნული (სურ. 7).

ბრინჯაოს დაფა მზიური მითოსის კოსმოგრაფიული გამოხატულებაა. მითოლოგიაში ორი მზე განასახიერებს ჩამავალ და ამომავალ, დღისა და ღამის, ზესკნელისა და ქვესკნელის, ზაფხულისა და ზამთრის მზეს. დაფის სიმბოლურ სცენარში ასახულია მზის ციკლური გზასავალი ქვესკნელის წყლებიდან შუა სკნელის გავლით ზესკნელში და უკან. ორი მთის კარიბჭის – „ცისკარის“ (თუშური კოსმოლოგიური ტერმინოლოგიით „ზისკარის“/მზის კარის) – გავლით მზე თავის გზაზე შემოხაზავს სამი სკნელის (ცა-ხმელეთი-ზღვა) კოსმოგონიურ პროექტს. სამი სკნელის ანუ ე.წ. „პოლარობის პრინციპი“ უდევს საფუძვლად თუშური სახლის არქიტექტურულ პროექტს (ჭერხო-შუა-ბაშტე), მეურნეობრივ სტრუქტურას (მეცხვარეობა-მინათმოქმედება-მესაქონლეობა), ფერთა სიმბოლიკას (თეთრი-წითელი-შავი) და ა.შ. სამი სკნელის პრინციპია ალბეჭდილი ჯვარის მსახურის დალოცვის ტექსტშიც:

**„თუ რა სარჯიელ ეხედვებოდეს ან ცითა ჩამოსული, ან ზღვითა გამოსრული, ან ხმელეთზე მორიალეი, გზა უკულმ გაუბრუნდითა“...**

შეიძლება ითქვას, რომ ბრინჯაოს დაფის მზიური კომპოზიცია სამყაროს შესაქმის და კულტურის მაფორმირებელი მსოფლმხედველობრივი იდეის მატარებელია.

მზე და ვერძი ბრინჯაოს დაფაზე ურთიერთდაკავშირებულია ზოდიაქალურ კონტექსტში. ძველი სამყაროს ხალხთა დაკვირვებით მზე ყოველ წელს გაივლის ზოდიაქოს 12 სახლს/თანავარსკვლავედს და უბრუნდება საწყის წერტილს – გაზაფხულის

<sup>1</sup> მთხრობელები: კ. თათრულიაძე, გ. თორღვაიძე

<sup>2</sup> კ. ჩოლოყაშვილი. ე.წ. „სათვალისებური სპირალის ინტერპრეტაციისათვის“. „ძეგლის მეგობარი“, 1987 წ. №2, გვ. 68

<sup>3</sup> М. Элиаде. Космос и история, 1987 г. Стр. 249

ბუნიობას (დღე-ღამესწორობას). ზოგადად, მზე ღებულობს ზოდიაქოს იმ ნიშნის ბუნებასა და თვისებებს, რომელსაც გაივლის გაზაფხულის ბუნიობისას. ზოდიაქოს ერთი ნიშნიდან მეორეში გადასვლას მზე უნდება 2160 წელს. ქრისტიანული ეპოქის დასაწყისს დაახლოებით სამი საუკუნით უსწრებს წინ თევზის ზოდიაქოს ეპოქის დასაწყისი. თევზის ზოდიაქოს წინარე 2160 წელი მზე იმყოფებოდა ვერძის ეპოქაში – გაზაფხულის ბუნიობისას მზე ამოდიოდა ვერძის ზოდიაქოში/თანავარსკვლავედში.<sup>1</sup>

ამგვარად, ბრინჯაოს დაფაზე გამოსახული ვერძი მზის ზოდიაქალური განსახიერება და მზის ზოდიაქალური მდებარეობის და ქრონოლოგიის განმსაზღვრელი ნიშნულია. ასე, რომ ჩვენთვის საინტერესო კულტურა ვერძის ზოდიაქალური ეპოქის ქრონოლოგიურ საზღვრებშია საძიებელი.

თუშეთის მწყემსური კულტურის წიაღში წინა ქრისტიანული მითოსური რწმენა-წარმოდგენების კვლევით დგინდება ბუნების ამალორძინებელი – მოკვდავი და აღდგომადი – შუმერულ-აქადური მწყემსი ღვთაება დუმუზი/თამუზის ქართული თანაფარდის – დორაელის კულტი.<sup>2</sup>

შუამდინარეთის მითოლოგიაში დუმუზი/თამუზი მზიერ ღმერთად და ქვესკნელის კარიბჭის ერთ დარაჯთაგანად გვევლინება.<sup>3</sup> შეიძლება ითქვას, რომ ბრინჯაოს დაფის ზოდიაქალური ვერძი განსახიერებს მზიერ მწყემს ღვთაება დორაელს – ზამთრის/სიკვდილის/ქვესკნელის განზომილებიდან გაზაფხულის ბუნიობისას აღორძინებულ მცენარეულ სულს.

მზისა და ვერძის შინაგან საკრალურ კავშირს ასაჩინოებს თუში მწყემსის თავსარქმელი – ნაბდის ქუდის ზედაპირზე გამოყვანილი წრეში ჩასმული ჯვარი (მზის სიმბოლო) და ცხვრის ტყავის ქუდის სახელწოდება „ბარჯღალა“, სხვიერი მზის – „ბორჯღალის“ – აღმნიშვნელი.

თუშურ „დალაიმი“ მიცვალებული „მზით შედის სამუდამო სამყოფელში“, სადაც „ტიალი, გაუმადლარი მცურავი“, ე.ი. სურიელი ან გველი ჰყლაპავს მას...<sup>4</sup> ბრინჯაოს დაფები სამარხებში, მოკვდავი და აღდგომადი მზიერი ღვთაება, ცოცხალთა და მკვდართა

<sup>1</sup> М. Хол. Энциклопедическое изложение масонской, герметической, каббалистической и розенкройцеровской символической философии, 2004 г. Стр. 111-112

<sup>2</sup> ნ. იდოიძე. თუშეთის მწყემსური კულტურის მაფორმირებელი მითოლოგემა. „ეთნოლოგიური ძიებანი“, III. საქ. ეროვნული მუზეუმი, 2007

<sup>3</sup> М. Хол ... стр. 64

<sup>4</sup> თ. ჩხენკელი. მშვენიერი მძლევარი, 1989 წ. გვ. 9

შემყრელ-გამყრელი ორი მთის კარიბჭე, ცოცხალთა და მკვდართა ორი მზე – ფაქტიური გამოხატულებაა იმ ეპოქის რწმენისა მზისა და კაცის ცხოვრების – სიცოცხლისა და სიკვდილის – მსგავსების შესახებ. აღნიშნულმა რწმენამ განაპირობა მიცვალებულის გასტუმრებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების და წარმოდგენების მოქცევა მზიური მითოსის სფეროში.

ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს დაფის უნივერსალური სიმბოლიზმის კიდევ ერთი ასპექტი – მრავალ ხალხში დაკრძალვის რიტუალები გასაოცრად ჰგავს მათში ხელდასხმის – ღვთაებრივ ცოდნასთან ზიარების ცერემონიებს.<sup>1</sup> ყველგან, სადაც კი ქვესკნელში ჩასვლა გვხვდება თქმულებებში, მინიშნებულია ხელდასხმის პროცესი.<sup>2</sup> ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური ეპოქის ხალხებში წმიდა სწავლების მიმდევართა ხელდასხმის რიტუალები მოკვდავი და აღდგომადი მზიური ღვთაების კულტს ეფუძნებოდა და მზებუდობის და ბუნიაობის პერიოდში იმართებოდა.

ბრინჯაოს დაფის სიმბოლიკა თვალსაჩინოდ გამოხატავს ხელდასხმის ფენომენს. დაფას ზურგის მხარეს პერსონალური ტარებისათვის აქვს ჩამოსაკიდებელ-დასამაგრებელი კაუჭი და რგოლი. ეზოთერული შინაარსით დატვირთული სამკერდე სიმბოლო-ნიშნების ტარება ძველი სამყაროს ხელდასხმულთათვის ჩვეული წესი იყო.

გვიან ბრინჯაო-ადრეული რკინის ხანის ომალოს არქეოლოგიურ ძეგლებში ფიქსირდება მზიური მითოსისა და კულტის განვითარების მაღალი დონე. ბრინჯაოს დაფის უნივერსალურ სიმბოლიზმში ასახულია მზიური მითოსის წიაღში ჩასახული მწყემსური ყოფისა და ყოფიერების მაფორმირებელი მსოფლმხედველობა, რამაც განაპირობა მწყემსური კულტურის მდგრადი განვითარება ათასი წლების განმავლობაში. ძველი ეპოქისა და ტრადიციული პერიოდის შუალედში კულტურული და სიმბოლური განვითარების პროცესში სახეცვლილებას განიცდიდა რიგი კულტურული მოვლენებისა, როგორცაა ძველი ეპოქისათვის ნიშანდობლივი კრემაციის წესის ჩანაცვლება ტრადიციულ პერიოდში მიცვალებულის საფლავზე ცეცხლის დანთების წესით. ხალხური მზიური კულტის უნივერსალურმა სიმბოლიზმმა ხელი შეუწყო ქრისტიანულ საწმენოებასთან მის უმტიკვიანელო შერწყმას. ამიტომაცაა, რომ ხალხურ მეხსიერებაში ცხოველმყოფელი მზე სეზონური და საკრალური დროის აღრიცხვის ერთ-ერთ ძირითად სტანდარტად რჩება კვლავ.

<sup>1</sup> М. Хол ... стр. 194

<sup>2</sup> რ. შტაინერი. „არგონავტების თქმულება და ოდისეა“, 2002 წ. გვ 15



რუკა



სურ. 1

სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7